



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორია

თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,

www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000045109539921

№ 02-98-R

27 / სექტემბერი / 2021 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

“სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის მიმართულებებზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ” კონსერვატორიის რექტორის 2021 წლის 25 აგვისტოს № 02-89-R, „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის კომპოზიციის მიმართულებებზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ” კონსერვატორიის რექტორის 2021 წლის 25 აგვისტოს № 02-90-R ბრძანებებით გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 17 მაისის N 55/2021 დადგენილების - "სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" (დამტკიცებულია კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, N 18/2021, 20.05.2021 წ.) მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. “სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის მიმართულებებზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ” კონსერვატორიის რექტორის 2021 წლის 25 აგვისტოს № 02-89-R, „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის კომპოზიციის მიმართულებებზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ” კონსერვატორიის რექტორის 2021 წლის 25 აგვისტოს № 02-90-R ბრძანებებით გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების მიზნით, დამტკიცდეს საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) თეა ტიგინაშვილი - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი, აპარატის უფროსი;
- ბ) მაია ტაბლიაშვილი - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის უფროსი, აპარატის წევრი;
- გ) ნანა კალანდაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, აპარატის წევრი.

2. საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატს დაევალოს საკონკურსო საბუთების მიღება 2021 წლის 02 ოქტომბრიდან 2021 წლის 07 ოქტომბრის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე, (კვირის გარდა, შესვენება 13:00-დან 14:00-მდე) კონსერვატორიის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, (მისამართი: ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №8-10, ოთახი №212)

3. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებისას, საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებმა აპარატმა უზრუნველყოს კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსანტის თანდასწრებით დამოწმება და დალუქვა კონსერვატორიის ბეჭდით.

4. საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებმა აპარატმა უზრუნველყოს საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამის საკონკურსო კომისიისათვის გადაცემა საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებისთანავე, დალუქულ მდგომარეობაში, აპარატის უფროსის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებულ საკანცელარიო აღწერის დოკუმენტთან ერთად.


5. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე tsc.edu.ge.

6. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.

7. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

ნანა შარიქაძე